<u>პროექტი</u>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

2026 წლის _____ აპრილი; ქ. ბათუმი;

„ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 24/08/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016553) შეტანილი იქნას ცვლილება და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

წინამდებარე დადგენილების მიზანს წარმოადგენს „ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ:

- ცვლილებების შედეგად კაფე „ტყუპები“ ნაცვლად რეკონსტრუქციას დაქვემდებარებული არსებული ობიექტისა განისაზღვრება დემონტაჟს დაქვემდებარებულ შენობად;
- ცვლილების შედეგად კაფეების, როგორც მასშტაბით და ადგილმდებარეობით შეუსაბამო ობიექტის ნაცვლად გათვალისწინებულია შადრევნის და სარეკრეაციო სივრცის მოწყობა;
- ცვლილებიდან გამომდინარე არსებული და საპროექტო ობიექტების ადგილმდებარეობის გეგმიდან ხორციელდება კაფე „ტყუპები“ შენობების ამოღება და სანაცვლოდ დაიტანება წყლის სარკე (ზედაპირი);
- ქალაქ ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის ტექსტური ნაწილიდან ხორციელდება 6.01 და 6.02 კაფეების ამოღება;
- ცვლილებები შედის ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის შემდეგ დანართებში: 1.2.2 ტექსტურ ნაწილში, 1.2.1-1 გენერალურ გეგმაში; 1.2.1-12 შეუსაბამო ობიექტების რუკაში; 1.2.1-10 არსებულ ობიექტებზე რეკომენდაციების ჩასატარებელ დანართში; 1.2.1-7 - არსებული და საპროექტო ობიექტების ადგილმდებარეობის გეგმაში.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

„ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: პროექტის განხორციელება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსის **არჩილ გირკელიძე**